საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზიისა და რადიოს

2026 წლის III კვარტლის

ანგარიში

კვარტლის სიახლეები

- ✓ გაგრძელდა გარეწარმოების მოქმედი შემდეგი გადაცემები: „პროექციაში“; „სასწაულის ძიებაში“; „მოგზაურის დღიური“; „ტელე-ანთოლოგია“; ვიდეორგოლები „იცოდით თუ არა, რომ...“
- ✓ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს 2026 წლის 7 სექტემბრის №02-09/44 ბრძანებით, სატელევიზიო მაუწყებლობისათვის პროდუქციის შესყიდვის მიზნით, გამოცხადდა საჯარო კონკურსი, რომლის შედეგად დამტკიცდა გარეწარმოების 6 გადაცემა და 2 დილის რუბრიკა: „ადამიანი“; „საუკეთესო მეგობრები“; „სხეულით მოყოლილი ამბავი“; „მოქალაქე 360“; „შეფები საქართველოდან“; „იდეალური რემონტი“; რუბრიკა „ქართული ბუნების თავისებურებანი“; რუბრიკა „გოგლა უძრავი ქონების გზამკვლევი“
- ✓ გაფორმდა ხელშეკრულებები მექანიკურ პროდუქციაზე:
  „MediaHub Medya“ – №02-21/64;
  Ltd „Tro Distribution“ – №02-21/63;
  „Prime Time Media“ – №02-21/103.
- ✓ განხორციელდა ქართული ფილმების შერჩევა და პირდაპირი შესყიდვის გზით შეძენა;
- ✓ პროდუქციის გახმოვანების მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება შპს „ქართული გახმოვანებასთან“ და „ენ რექორდსთან“;
- ✓ განხორციელდა პროდუქციის მიღება, შემოწმება და ეთერში განთავსება;
- ✓ საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით მოხდა შესაბამისი თემატიკის დოკუმენტური ფილმების მიღება და ბადეში განთავსება (პროდუქცია მოწოდებული იყო დოკუმენტური ფილმების სტუდიის მიერ); ასევე ეთერში განთავსდა სეზონური ტიხრები და არტები;
- ✓ ეთერში განთავსდა გადაცემების ახალი პრომოები; დამზადდა ანონსების ახალი შეფუთვა;
- ✓ უზრუნველყოფილ იქნა საქართველოს პარლამენტის პირდაპირი ტრანსლაცია ეთერში;
- ✓ რეგულარულად ხორციელდებოდა ყოველკვირეული პროგრამის შემუშავება და მიწოდება სხვადასხვა ვებ-პლატფორმისთვის, ასევე კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიისთვის, „მაგთისატისა“ და „სილკნეტისთვის“;
- ✓ განხორციელდა გადაცემებისა და ანონსების ხარისხის კონტროლი და ეთერში განთავსება;
- ✓ განთავსდა სხვადასხვა ორგანიზაციისგან მიღებული სოციალური რეკლამები; მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე დამზადდა და განთავსდა ვიდეორგოლები;

2026 წლის III კვარტლის ანგარიში

III კვარტალში ბადეში განხორციელებული სიახლეები:

- ✓ აპრილი-ივნისის პერიოდში რეორგანიზაციის პროცესიდან გამომდინარე შემუშავდა სპეციალური ბადე;
- ✓ დროებით შეჩერებული გადაცემების განმეორებითი ჩვენება მოხდა აპრილის და მაისის თვეებში;
- ✓ ივნისის თვიდან ჩაიშვა 5 გადაცემა;
- ✓ 18 ივნისიდან ეთერში განთავსდა ტურიზმის რგოლები " მასპინძელი"

ონლაინმედია

მაუწყებლის მედიაპროდუქტი სოციალური ქსელების საშუალებით მიეწოდება სამიზნე აუდიტორიას. კონტენტი მუშავდება სხვადასხვა პლატფორმისთვის (ფეისბუქი, ინსტაგრამი, იუთუბი).

მესამე კვარტლის საანგარიშო პერიოდში ჩვენს youtube არხზე განთავსებულმა ვიდეოებმა ჯამში 822706 ნახვა დააგროვა, +1300 ახალი გამომწერი ჰყავს youtube არხს.

Ajaratv show მონაცემებით, მაუწყებლის შემოქმედებითი გადაცემების მთავარ გვერდს 3 მილიონამდე ნახვა დაუგროვდა.

Instagram
ვიდეოების ნახვა - 117 000
მიმდევარი - 15 800

TikTok
ვიდეოების ნახვა - 376 000
ინტერაქცია - 18 000
გამომწერი - 22 000

იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის ანგარიში

➢ სასამართლო დავები:

N	მოსარჩელე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1	მოსარჩელე: ,, I.M.J Group''	2021 წლის 20 სექტემბრის N02-22/176 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე მაუწყებლისათვის 76075 ლარის ოდენობით თანხის დაკისრება. 2283 სახელმწიფო ბაჟის მაუწყებლისთვის დაკისრება.	ბათუმის საქალაქო სასამართლოში სარჩელი წარდგენილია - 19.04.2022; ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მაუწყებელს კომპანიის სასარგებლოდ დაეკისრა 34015,94 ლარი. მაუწყებელს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟი - 1070.47 ლარის ოდენობით. ორივე მხარემ გადაწყვეტილება გასაჩივრა სააპელაციო წესით. მაუწყებლის შუამდგომლობის საფუძველზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 08 ოქტომბრის განჩინება/ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, მოწინააღმდეგე მხარის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამარათლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მაუწყებელს მხარის სასარგებლოდ დაეკისრა 34 015.94 ლარისა და სახელწმიფო ბაჟის- 1070.47 გადახდა. დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. მხარემ ზემოაღნიშნული განჩინება/გადაწყვეტილება კერძო საჩივრით გაასაჩივრა უზენაესი სასამართლოში, რაც დაკმაყოფილდა, ვინაიდან სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის გამოუცხადებლობა სააპელაციო სასამარლოში განპირობებული იყო საპატიო მიზეზით. საქმე დაბრუნდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში განსახილველად. 2026 წლის 10 ივლისის განჩინების საფუძველზე პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. მაუწყებელმა განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების ჩაბარების

			მოთხოვნით. დოკუმენტის ჩაბარების შემდგომ იგეგმება საკასაციო სარჩელის წარდგენა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.
2	მაია მერკვილაძე	1. გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა; 2. რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; 3. სამსახურში იგივე ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა; 4. განაცდურის ანაზღაურება.	-მაია მერკვილაძემ 2026 წლის 29 ივნისს სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, რომელზედაც მაუწყებელმა შესაგებელი 31 ივლისს წარადგინა. -მოსარჩელემ 2026 წლის 12 აგვისტოს დაზუსტებული სარჩელით მიმართა სასამართლოს. მაუწყებელმა დაზუსტებული შესაგებელი მოამზადა და წარადგინა 28 სექტემბერს. - ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2026 წლის 30 ივნისის განჩინებით მაუწყებელს დაევალა მტკიცებულებების წარდგენა სასამართლოში. აღნიშნული განჩინება მაუწყებელს ჩაბარდა 2026 წლის 30 სექტემბერს.
3	ირინა ყურუა	1. რეორგანიზაციის დაწყების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა მოსარჩელის ნაწილში; 2. გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა; 3. სამსახურში იგივე პოზიციაზე აღდგენა; 4. განაცდურის ანაზღაურება.	-ირინა ყურუამ 2026 წლის 29 ივნისს სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, რომელზედაც მაუწყებელმა შესაგებელი 31 ივლისს წარადგინა. -მოსარჩელემ 2026 წლის 12 აგვისტოს დაზუსტებული სარჩელით მიმართა სასამართლოს. მაუწყებელმა დაზუსტებული შესაგებელი მოამზადა და წარადგინა 28 სექტემბერს. - ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2026 წლის 30 ივნისის განჩინებით მაუწყებელს დაევალა მტკიცებულებების წარდგენა სასამართლოში. აღნიშნული განჩინება მაუწყებელს ჩაბარდა 2026 წლის 30 სექტემბერს.
4	ლევან ურიდია	1. გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა; 2. რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; 3. სამსახურში იგივე ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა; 4. განაცდურის ანაზღაურება;	-ლევან ურიდიამ 2026 წლის 29 ივნისს სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, რომელზედაც მაუწყებელმა შესაგებელი 31 ივლისს წარადგინა. -მოსარჩელემ 2026 წლის 12 აგვისტოს დაზუსტებული სარჩელით მიმართა სასამართლოს. მაუწყებელმა დაზუსტებული შესაგებელი მოამზადა და წარადგინა 28 სექტემბერს.

		5. დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა; 6. დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის გამო მორალური ზიანის ანაზღაურება.	
5	სალომე გეგეშიძე	1. რეორგანიზაციის დაწყების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა მოსარჩელის ნაწილში; 2. გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა; 3. სამსახურში აღდგენა; 4. განაცდურის ანაზღაურება; 5. დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა; 6. მორალური ზიანის ანაზღაურება - 3000 ლარის ოდენობით.	-სალომე გეგეშიძემ 2026 წლის 29 ივნისს სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, რომელზედაც მაუწყებელმა შესაგებელი 31 ივლისს წარადგინა. -მოსარჩელემ 2026 წლის 12 აგვისტოს დაზუსტებული სარჩელით მიმართა სასამართლოს. მაუწყებელმა დაზუსტებული შესაგებელი მოამზადა და წარადგინა 28 სექტემბერს.
6	გაბრიელა კვაჭანტირაძე	1. გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა; 2. რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; 3. სამსახურში იგივე ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა; 4. განაცდურის ანაზღაურება.	გაბრიელა კვაჭანტირაძემ 2026 წლის 29 ივნისს სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, რომელზედაც მაუწყებელმა შესაგებელი 31 ივლისს წარადგინა.

❖ ხელშეკრულებები, რომლებზეც არ ვრცელდება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი:

N	ხელშეკრულების შესახებ	რაოდენობა
1	მაუწყებლის მიერ, პროგრამის, პროდუქციის ან/და მის შესაქმნელად საჭირო მომსახურების შესყიდვის შესახებ (02-21)	46
2	სარეკლამო კონტენტის განთავსების შესახებ (02-23)	5
3	იჯარა (02-24)	-

4	სხვა სახის ხელშეკრულებები (02-27)	2

❖ ბლოკის მიერ მომზადებული ბრძანებები და სხვა დოკუმენტაცია:

N	დოკუმენტის სახეობა	რაოდენობა
1	ბრძანება	31
2	მოხსენებითი	69
3	წერილი	66
4	შეთანხმების აქტი	1
5	მინდობილობა	6

❖ მაუწყებელში შექმნილ კომისიებში მონაწილეობა და სხვა აქტივობები:

1. სოციალური რეკლამის სტატუსის მიმნიჭებელი კომისიის საქმიანობაში მონაწილეობა;
2. სატენდერო კომისიის საქმიანობაში მონაწილეობა;
3. დისციპლინური წარმოების კომისიის სხდომების ორგანიზება, ხელმძღვანელობა, სხდომის ოქმებისა და დასკვნის მომზადება;
4. მაუწყებლის თანამშრომლებისთვის კონსულტაციის გაწევა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე;
5. წარმომადგენლობა საერთო სასამართლოებში;
6. მაუწყებლის დირექტორის მიერ გამოსაცემი ბრძანებების, შიდა და გარე კორესპონდენციის ვიზირება და რედაქტირება;
7. მიმდინარე საკითხებზე მინდობილობების, ბრძანებების, მოხსენებითი ბარათებისა და კორესპონდენციის მომზადება.

საქმისწარმოების განყოფილება

❖ მაუწყებლის საქმისწარმოების განყოფილებაში შემოსულია შემდეგი რაოდენობის დოკუმენტაცია:

N	დოკუმენტის სახება	რაოდენობა
1	შიდა დოკუმენტი	936
2	გარედან შემოსული	180
3	კანცელარიიდან გაიგზავნა	123

❖ მაუწყებლის საქმისწარმოების განყოფილების მიერ გატარებული სამართლებრივი აქტები:

N	ბრძანების სახეობა	რაოდენობა
1	ძირითადი საქმიანობის შესახებ (02-03)	10
2	ადმინისტრაციულ-სამეურნეო საკითხების შესახებ (02-09)	25
3	პირადი შემადგენლობის შესახებ (03-01)	36

❖ სხვა:

N	სახეობა	რაოდენობა
1	მიღება-ჩაბარებისა და სხვა აქტი	101
2	საფოსტო გზავნილი	1

ანგარიში

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზიისა და რადიოს
2026 წლის III კვარტლის
ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ბიუჯეტის შესრულების ზოგადი პარამეტრები

„საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული 2026 წლის ბიუჯეტის შესაბამისად, III კვარტლის ხარჯების გეგმამ შეადგინა 5.741.180 ლარი.

2026 წლის III კვარტლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ გაწეულმა ჯამურმა საკასო ხარჯმა შეადგინა 4.791.830 ლარი.


❖ დაგეგმილი და გაწეული საკასო ხარჯების შედარება:

ძირითადი მიმართულებების მიხედვით ბიუჯეტის გეგმა და მისი შესრულება

ხარჯების დასახელება	გეგმა	საკასო ხარჯი	გადახრა/სხვაობა	%
დირექტორი და დაქვემდებარებული პირები	114.750	101.220	13.530	88,2%
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	834.880	732.127	102.753	87,7%
ახალი ამბები	950.700	991.804	(41.104)	104,3%
მედია	2.310.600	1.801.167	509.433	78,0%
ტექნიკური ხარჯი	1.200.050	1.070.492	129.558	89,2%
ტექნიკური აღჭურვა	231.600	39.700	191.900	17,1%
სხვა სამაუწყებლო ხარჯი	9.000	0	9.000	0,0%
ფინანსური ხარჯი	89.600	55.320	34.280	61,7%
სულ ჯამი:	5.741.180	4.791.830	949.350	83,5%

როგორც მოცემული ცხრილიდან ჩანს, 2026 წლის III კვარტალის ჯამურმა საკასო ხარჯმა შეადგინა ბიუჯეტირებულთან შედარებით 949,4 ათასი ლარით ნაკლები.

❖ ბიუჯეტის შესრულების დიაგრამა:



შრომის ანაზღაურება


სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს 2026 წლის III კვარტალში შრომის ანაზღაურებაზე ბიუჯეტირებული თანხა განისაზღვრა 3.237.580 ლარით, ფაქტობრივმა გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 3.247.238 ლარი.

ფაქტობრივმა შრომის ანაზღაურების ხარჯმა დაგეგმილთან შედარებით 9,7 ათასი ლარით მეტი შეადგინა, რაც განპირობებულია წინა პერიოდში არსებული ფინანსური რესურსის გამოყენებით, მათ შორის ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო კანონმდებლობით გათვალისწინებული დახმარების გაცემით.

შრომის ანაზღაურების გადანაწილება მუხლების მიხედვით:

ხარჯების დასახელება	გეგმა	საკასო ხარჯი	გადახრა/სხვაობა	%
დირექტორი და დაქვემდებარებული პირები	114.750	101.220	13.530	88,2%
ადმინისტრაცია	209.580	229.969	(20.389)	109,7%
ახალი ამბები	844.900	865.083	(20.183)	102,4%
მედია	1.215.450	1.211.133	4.317	99,6%
ტექნიკა	852.900	839.833	13.067	98,5%
სულ ჯამი:	3.237.580	3.247.238	(9.658)	100,3%

❖ შრომის ანაზღაურების დიაგრამა:



მივლინება


სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს 2026 წლის III კვარტლის ბიუჯეტით, სამივლინებო თანხა განისაზღვრა 153.000 ლარით, ფაქტობრივმა გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 177.714 ლარი.

ფაქტობრივმა სამივლინებო ხარჯმა დაგეგმილთან შედარებით 24,7 ათასი ლარით მეტი შეადგინა, რაც განპირობებულია წინა პერიოდში არსებული ფინანსური რესურსის გამოყენებით.

სამივლინებო ხარჯები მუხლების მიხედვით:

ხარჯების დასახელება	გეგმა	საკასო ხარჯი	გადახრა/სხვაობა	%
ადმინისტრაცია	11.000	9.054	1.946	82,3%
ახალი ამბები	82.500	109.798	(27.298)	133,1%
მედია	55.800	57.932	(2.132)	103,8%
ტექნიკა	3.700	930	2.770	25,1%
სულ ჯამი:	153.000	177.714	(24.714)	116,2%

❖ სამივლინებო ხარჯების დიაგრამა:



საინვესტიციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯი

2026 წლის III კვარტლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ გაწეული კაპიტალური ხარჯები:


ტექნიკური აღჭურვა	39.700

ლიცენზიები/გადაცემები

მაუწყებლის მიერ 2026 წლის III კვარტლის განმავლობაში მექანიკური პროდუქციის შესყიდვაზე გადახდილ იქნა 340.271 ლარი, ხოლო გარეწარმოების გადაცემების შესყიდვაზე კი 163.931 ლარი.

მექანიკური პროდუქცია	340.271
გარეწარმოების გადაცემები	163.931
სულ:	504.202

❖ ლიცენზიები/გადაცემების პროცენტული მაჩვენებელი



ფინანსური ხარჯი

მაუწყებლის მიერ 2026 წლის III კვარტლის განმავლობაში გაწეული ფინანსური ხარჯები:


საგადასახადო გადასახდელები	55.320

კომერციული/არასაბიუჯეტო შემოსავლები

2026 წლის III კვარტლის განმავლობაში საკუთარი სახსრებით დარიცხულმა შემოსავლებმა შეადგინა 188.608 ლარი. აღნიშნული თანხიდან სასპონსორო და სარეკლამო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი იყო 13.630 ლარი, საიჯარო შემოსავალმა შეადგინა 42.304 ლარი, ხოლო დეპოზიტზე დარიცხული პროცენტებიდან შემოსავალმა კი 132.674 ლარი.

სასპონსორო და სარეკლამო მომსახურება	13.630
საიჯარო მომსახურება	42.304
შემოსავლები დეპოზიტზე დარიცხული პროცენტებიდან	132.674
ჯამი:	188.608

❖ არასაბიუჯეტო შემოსავლების პროცენტული მაჩვენებლები



დეტალური ინფორმაცია 2026 წლის მესამე კვარტალში გაწეული საკასო ხარჯების შესახებ წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

❖ მაუწყებლის მიერ 2026 წლის მესამე კვარტალში გაწეული საკასო ხარჯები

პერიოდი: 01/07/2026- 30/09/2026
ვალუტა: ლარი

კოდი	ანგარიშის დასახელება	სულ
1-0-0-00	საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯი	4.696.810
1-1-0-00	დირექტორი და დაქვემდებარებული პირები	101.220
1-1-1-00	შრომის ანაზღაურება	101.220
1-2-0-00	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	732.127
1-2-1-00	შრომის ანაზღაურება	229.969
1-2-2-00	მივლინება	9.054
1-2-3-00	რეკლამა და ბრენდირება	11.470
1-2-4-00	კომუნალური ხარჯები	32.752
1-2-5-00	ავტოპარკი	58.886
1-2-6-00	საოფისე ხარჯი	389.411
1-2-7-00	წარმომადგენლობითი ხარჯი	585
1-3-0-00	ახალი ამბები	991.804
1-3-1-00	შრომის ანაზღაურება	865.083
1-3-2-00	მივლინება	109.798
1-3-3-00	უცხური საინფ. სააგ/სიგნალის გადმოგორება	16.923
1-4-0-00	მედია	1.801.167
1-4-1-00	შრომის ანაზღაურება	1.211.133
1-4-2-00	მივლინება	57.932
1-4-3-00	გარეწარმოება	163.931
1-4-4-00	უცხოური და ქართული მხატვრული ფილმები, სერიალები, დოკუმენტური ფილმები, ანიმაცია	340.271
1-4-5-00	საავტორო უფლებების ჰონორარი, მუსიკალური ნაწარმოებების გამოყენების უფლება	21.223
1-4-7-00	შესყიდვები მედია	6.677
1-5-0-00	ტექნიკური ხარჯი	1.070.492
1-5-1-00	შრომის ანაზღაურება	839.833
1-5-2-00	მივლინება	930
1-5-3-00	ვებ მაუწყებლობის და სიგნალის გავრცელების ხარჯები	171.119
1-5-4-00	სხვა არასაინვესტიციო ხარჯი	58.610
2-0-0-00	საინვესტიციო საქმინობაზე გაწეული ხარჯი	39.700
2-2-0-00	ტექნიკური აღჭურვა	39.700
2-2-2-00	კომპიუტერული ტექნიკა	7.350
2-2-5-00	გრძელვადიანი პროგრამული უზრუნველყოფა	15.980
2-2-7-00	სხვა დანარჩენი ტექნიკის შესყიდვა	16.370
3-0-0-00	ფინანსური ხარჯი	55.320
3-1-0-00	საგადასახადო გადასახდელები	55.320
3-1-1-00	დღგ (რეალიზაციის, უკუდაბეგვრის)	53.573
3-1-2-00	ქონების/მოგების გადასახადი	1.747
სულ ხარჯი		4.791.830